მესთან დაკავშირებით გარკვეული ექსპერტიზები ჩასატარებელი, სულხან მოლაშვილის პატიმრობაში დატოვებას არ საჭიროებს. დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა პროცესზე მოსამართლე იურიტყველმა მოლაშვილის აცილების საკითხი დააყენა, რაც თავად ტყვემალაშვილმა არ დააკმაყოფილა. ადვოკატის განცხადებით, 2004 წლის 5 ივლისს ტყვემალაშვილმა მოლაშვილის უკანონო პატიმრობის საკითხი განიხილა. აღნიშნულ საჩრდეზე ტყვემალაშვილმა წერილობითი პასუხი გასცა, რომლის მიზარსითაც, მოლაშვილის უკანონო პატიმრობის საკითხის განხილვა უზენაესი სასამართლოს აღნიშნული კოლეგიის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამ გადაწყვეტილებას ადვოკატებმა უკანონო უწოდეს და, აქედან გამომდინარე, დაკავებულის ადვოკატებმა ტყვემალაშვილის ობიექტურობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენეს. მოლაშვილის სასამართლო პროცესი სკანდალს ვერ ასცდა. საქმე ისაა, რომ მოლაშვილის ახლომეზობისა და ადვოკატების განცხადებით, სასამართლო დარბაზში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა, იმ დროს, როცა სხდომა, კანონის თანახმად, დახურული წესით ჩატარდა. პროცესზე არ დაუშვეს ჟურნალისტები. არადა, ვიდეოკამერის ფარული წესით დარბაზში დამონტაჟება კანონით დაუშვებ-

ლია. თავად კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის აზრით, აღნიშნული ვიდეოკამერის საშუალებით, საფარაულოდ, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელებმა პროცესის მიმდინარეობას აკვირდებოდა. სულხან მოლაშვილმა პროცესის ამგვარ მდგომარეობაში ჩატარება გააპროტესტა და მისი გახსნა მოითხოვა, რაც რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდა. მოლაშვილის ერთ-ერთი ადვოკატის, სოსო ბარათაშვილის განცხადებით, სასამართლოზე განსაკუთრებით გადამდებელი ალკოჰოლის მოთხოვნის მიმართ. მოლაშვილი დახვდებოდა, რომ დახურული სხდომის ვიდეოკამერით გადაღება დაუშვებელია. რამდენიმე საათიანი განხილვის შემდეგ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სულხან მოლაშვილის პატიმრობის ვადა 23 იანვრამდე გაგრძელდა. გუშინდელი სასამართლო პროცესი სერიოზული პროცესუალური დარღვევებით ჩატარდა, რასაც მოლაშვილის ადვოკატები აუცილებლად გაასაჩივრებენ. თუმცა, მოსამართლემ მოლაშვილის ადვოკატთა მიერ დაყენებული შეამდგომლობებიდან ერთი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მავანის მიერ დაყენებულ ვიდეოკამერას, პროცესის დაწყებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ, ქსოვილი გადააფარეს.

24 საათი

იბერიის სამხარეო პოლიციის უფროსი არ გადადგმარა

ბაძა სოსოანი
ათათი

იბერიის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ჩიკვაძის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ხმები ვრცელდებოდა, თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გადადგა, გუშინ საღამოს კი, აღნიშნული ინფორმაცია ჩიკვაძემ უარაღიერა. „მაცდელთ,

ჯერ მსგავსი არაფერი მომხდარა, არ გადადგმარა. ჩემს მოვალეობას, ჯერჯერობით, ვასრულებ. როგორც კი ჩემ შესახებ ბრძანება დაინერგება, აუცილებლად გადავდგინებ. აღნიშნული ხმები რატომ გავრცელდა, არ ვიცი... არაფერს არ ვაპირებ, ვზივარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.“ განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზურაბ ჩიკვაძემ. მიუხედავად ამისა, საქმეში ჩახედული პირები განმარტავენ, რომ ჩიკვაძის განცხადებ-

აც დაწერილი და სამუშაო მაგიდაც ალაგებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში რა შეიცვალა, უცნობია. იმასაც მოუთხოვეს, რომ მინისტრმა მისი განცხადება არ დააკმაყოფილა. მოგვხსენებთ, ცეცხლი ნაკვეთრის გარეშე არ ჩნდება, ამიტომაც ქუთაისში მაინც მიიწვევენ, რომ ჩიკვაძის უახლოეს პერიოდში აუცილებლად შეცვლიან. ჩიკვაძისადმი უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად, გარდა გართულებული კრიმინალური ვითარებ-

ისა, პოლიტიკასაც ასახელებენ. იბერიის იგი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის კადრება მიჩნეული, მის გადადგომის, საც ბურჯანაძის კადრების ჩანაცვლებას უკავშირებენ, თუმცა ჩიკვაძემ ამ ვერსიასაც უარყოფს. „ზურაბ ჩიკვაძე ის პიროვნებაა, რომელსაც პოლიტიკასთან ახლოს ცხოვრება არ გაუფლია, არავის კადრი არა ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ.“ - აცხადებს ჩიკვაძე.

ქართულმა მსაზღვრეებმა დარღვევების 77 პირი დააკავეს

„შესაბამისი კვალიფიკაციით და პირველადი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შენაშაულობაში ქვედგარებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების საგამოძიებო განყოფილებას გადაეცა.“ - აცხადებენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. 2003 წელს აღნიშნული კანონისა და მსაზღვრეების მსოფლიო 33 ფაქტია გამოვლენილი.

პრამ-ნიუსი

ორი სიხვი

თბილისი. 28 ნოემბრის ღამეს ხაზური-თბილისის გზატკეცილის ქარელის მონაკვეთზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შინაგანი ჯარის რეგიათ ემსგებრება. თბილისიდან ხაზურისკენ მიმავალმა მიკროავტობუსმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო და გზაზე გადმოხლდა ფეხით მოსარულე ალექსანდრე ჯანელიძეს დაჯახა. ალექსანდრე ჯანელიძე ავტობუსს გარდაცვლილი მგვობარი პაატა ბიბიაშვილი მოუახლოვდა, რომელსაც ავტობუსიდან სროლა დაიწყო და იარაღის კონდახით მიკროავტობუსის მიწები ჩაამხვრია. პაატა ბიბიაშვილი სამართალდამცველებს დააკავეს. დაკავებულია სამარშრუტო ტაქსის მძღველიც. **მედი-ნიუსი**

თბილისი. 23 ოქტომბრის სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარის პატივსაცემად დაგეგმილ ჯაზური მუსიკის კონცერტის დაწყებამდე აჭარა მიუზიკ-პოლიში აღმოჩენილი იარაღის არსებობის წარმომავლობაზე უშიშროების სამინისტროში, როგორც მაშინ, ახლაც მწირი კომენტარს აკეთებენ. უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, „მიმდინარეობს გამოძიება, გამოკვეთილია კონკრეტული კონტრერები, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტის თქმა არ შეიძლება.“ **მედი-ნიუსი**

თბილისი. სისხლის სამართლის სამსახურის განყოფილების და თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 19 წლის გიორგი სამხე, რომლისგანაც ამოიღეს უსტარულად დამზადებული პისტოლტი მჭიდით და იარაღი ვაზნით. **მედი-ნიუსი**

თბილისი. ღონისძიება „ხაფანგი-2004“-ის გატარებისას ბათუმის შს სამმართველოსა და ხელვაჩაურის შს განყოფილებს თანამშრომლებთან ერთობლივად დააკავეს დეზერტორობისთვის და საზღვრო ნაწილის თვინობურად დატოვებისთვის ძებნილები, 28 წლის იან ხაშუტასიკი და 26 წლის ვალერი ყურაშვილი. **მედი-ნიუსი**


უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერილის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



www.liberty.ge

თავისუფლება

N9

30 ნოემბერი, სამშაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის“ საპატიო მდივანი

კორუფცია ეკლესიაში

ფოკუს-ჯგუფების შედეგები

ეკლესიაში არსებული კორუფციის შეფასებისა და მისი მიზეზების გამოვლენის მიზნით თავისუფლების ინსტიტუტმა 22 ოქტომბერს თბილისში ჩაატარა ფოკუს-ჯგუფი¹, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასულიერო პირებმა, სასულიერო სემინარიის პედაგოგებმა და სტუდენტებმა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ საეკლესიო ცხოვრება საქართველოში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, საკმაოდ ჩაკეტილია, შესაბამისად, ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობა და კერძოდ, ინფორმაცია ამ სფეროში არსებული კორუფციის შესახებ ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის; ამდენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორუფციის პრობლემის ხედავ „შეგნინად“, რაც ხსენებულ ფოკუს-ჯგუფში სასულიერო პირების, სასულიერო სემინარიის პედაგოგებისა და სტუდენტების მონაწილეობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

საჯარო

მოხელეების ქარტია

მე, როგორც საჯარო მოხელე,

- ვალდებული ვარ:
- ვემსახურო საზოგადოებას და ვიმოქმედო მისი ინტერესების შესაბამისად;
 - ვიყო მიუკერძოებელი და პატიოსანი; ხელი შევუწყო სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებას;
 - ხელი შევუწყო კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და ვიმოქმედო კანონიერების ფარგლებში;
 - ვიყო აქტიური, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გამოვიჩინო ინიციატივა;
 - შვიინარჩუნო ნეიტრალიტეტი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, პოლიტიკური შეხედულებების თვალსაზრისით;
 - ეფექტურად და გონივრულად გამოვიყენო საჯარო რესურსები;
 - არ შევიყვანო შეცდომაში საზოგადოება;
 - საკუთარი ქვევით ზიანი არ მივაყენო ჩემს რეპუტაციას და მოვიპოვო საზოგადოების ნდობა;
 - ვიყო ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების გამო;
 - ვიზრუნო, რომ საჯარო დაწესებულების პროცედურები ხელმისაწვდომი და გასაგები იყოს საზოგადოებისათვის;
 - თუ ჩემი პირადი ფინანსური ინტერესი კონფლიქტში მოდის საჯარო ინტერესებთან, დაუფარავად განვიცხადო ამის შესახებ;
 - კანონმდებლობის შესაბამისად, სააშკარაოზე გამოვიტანო მონაცემები პირადი ან ოჯახის წევრთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;
 - ანგარიში გავუწიო საზოგადოებრივ აზრს.

თავი უნდა შევიკავო:

- საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერი გამოყენებისგან;
- საკუთარი თანამდებობრივი მდგომარეობის პირადი და ოჯახის წევრთა ფინანსური თუ სხვა ინტერესების მიზნით გამოყენებისგან;
- ისეთი ქვევისგან, რამაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს როგორც ჩემს, ასევე საჯარო სამსახურის რეპუტაციას;
- კონფიდენციალური ინფორმაციისა თუ დოკუმენტების გამოქვეყნებისგან, თუ ეს არ არის სასამართლოს მოთხოვნა;
- საჯარო რესურსების, ფონდების, ქონების, მომსახურების და ინფორმაციის არამიზნობრივი გამოყენებისგან;
- პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით ნებისმიერი ისეთი საჩუქრის მიღებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ჩემი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებას.



რედაქციის მისამართი: თამარ კინწუხაშვილი, ხათუნა კვაკვაძე, დევიან ჩაბიანი, გიორგი მედიანი, ვაკო მინაშვილი, თინა ზუბინიძე
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, გიორგიძის 23, ტელ.: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

რა ფორმებს იძენს კორუფცია ეკლესიაში?

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ფართო ჭრილში განიხილეს კორუფციას და თვლიან, რომ ის წარმოადგენს როგორც თანამდებობრივი მდგომარეობის პირადი მიზნებით გამოყენებას, ასევე მექრთამეობას, ნაცნობ-მეგობრობასა და ნეპოტიზმს.

როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, დღევანდელ ქართულ ეკლესიაში კორუფცია არსებობს, თუმცა საეკლესიო ცხოვრების სპეციფიკურიდან გამომდინარე, კორუფციაც სპეციფიკურ, თუმცა საკმაოდ მარტივ სახეს იძენს:

„რა არის საეკლესიო კორუფცია? მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის, როდესაც ნათლობაში მღვდელი ითხოვს ფულს, არის შემთხვევები, როდესაც აღსარებაშიც კი ითხოვენ ფულის გადახდას. და ამას ნელ-ნელა ეგუება მრევლი“.

საეკლესიო კორუფციის ერთ-ერთ გამოვლენებაა სანთლის ბიზნესი, რომელიც მონოპოლიზირებულია სასაბჭო-არქის რამდენიმე წარმომადგენლის მიერ და „შემოსავალი მთელი საქართველოდან ერთ ჯგუფთან მიდის“.

ისევე როგორც ფართო საზოგადოებაში, ეკლესიაშიც აქვს ადგილი პროტექციონიზმს როგორც მაღალი რანგის, ასევე რიგითი სასულიერო პირების დანიშნისას:

„ერთგვარი პროტექციით ხდება ისეთი პირების დაწინაურება, რომლებიც აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელი არიან საღვთო სჯულში“.

სასულიერო პირები ერთადერთი პროფესიული ჯგუფი იყო (ანალოგიური ფოკუს-ჯგუფები რამდენიმე პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებთან ჩატარდა. იხ. „თავისუფლება“ №7,8), რომელმაც კორუფციული ურთიერთობები კლანურ სისტემას, „მაფიოზურ კლანს“ დაუკავშირა:

„კლანის შიგნით ყოველთვის ის ადამიანები აღწევენ, რომლებიც ნდობაში შედიან ამ კლანთან“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რწმენით, განსაკუთრებით სერიოზულ ფორმებს კორუფცია სამღვდელოების მაღალ ეშვებზე იძენს, „ეპისკოპოსები სრულიად მიუღწევადი ხალხია“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საეკლესიო სფეროში არსებული კორუფცია ქალაქის საზღვრებისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე სოფლად, სადაც, ერთი მხრივ, არაფერი დიამალა, ხოლო, მეორე მხრივ, არ არის შეძლებული მრევლი:

„სოფელში ვის რა ინტერესი უნდა ჰქონდეს, ყველა ყველას იცნობს და არც არავის არაფერი გამოუპარება. ქალაქისაგან განსხვავებით, სოფლად ყველა მღვდელი ძირითადად პატიოსანია“.

რესპონდენტთა თანახმად, ქალაქში (განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში) სასულიერო პირის საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 1000 დოლარია მაშინ, როდესაც სოფლად მათ შემოსავალს ძირითადად ნატურალური პროდუქტები წარმოადგენს.

კორუფციის მიზეზები ეკლესიაში

საეკლესიო კორუფციის მიზეზებიც სპეციფიკურია და, რესპონდენტთა აზრით, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია საეკლესიო სისტემის, კერძოდ, მისი საფინანსო საქმიანობის სრული გაუმჭვირვალობით. ამას ემატება აგრეთვე ეკლესიის კონსერვატიზმი, კრიტიკის სრული მიუღებლობა და მისი პირდაპირი აკრძალვა:

„ყველაფერს, რასაც იტყვიან, ნათლავენ ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლად და რაღაც მტრის ხატებს ქმნიან“.

ყოველივე ამის შედეგად რესპონდენტები ასკენიან, რომ „ეკლესიაში არ არის დემოკრატიული სისტემა“.

ეკლესიაში კორუფციის არსებობას ხელს უწყობს ასევე ის გარემოება, რომ ნების მანძილზე საეკლესიო ხაზით საქართველოში შემოსული პროდუქცია არ იბეგრდება, რამაც გამოიწვია ეკლესიის თავისებურ „ოფორულ ზონად“ გადაქცევა და ბევრი სასულიერო და არასასულიერო პირის დაინტერესება. გარდა ამისა, საეკლესიო სფეროს არცთუ იშვიათად იყენებდნენ სახელმწიფო მოხელეები ფულის გათვითების ერთ-ერთ საშუალებად – კერძოდ, ხდებოდა ამ ფულის გადარიცხვა ეკლესიების ასაშენებლად და სხვა.

ეკლესიაში კორუფციის ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ მღვდელი ხელმეუბნებელია, ამიტომ ის დაცულია ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში: „დაუსჯელობის სინდრომი არის ტოტალური“.

მოუწესრიგებელია ეკლესიის ეკონომიკური საფუძველი. კერძოდ, ის გარემოება, რომ მოძღვარს არააქვს ხელ ფასი, საეკლესიო კორუფციის ობიექტურ მიზეზს წარმოადგენს; ასეთი მდგომარეობა მას გარკვეულწილად უზიბავს იმისაკენ, რომ პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გამოიყენოს მრევლის შემოწირულობები.

წინააღმდეგობა ის გარემოებაც, რომ

„ეკლესიას და საპატრიარქოს ოფიციალურად არასოდეს ამოუღიათ ხმა კორუფციის წინააღმდეგ... ასევე, ეკლესია არავითარ თანამშრომლობაზე არ მიდიოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ. და ეს იყო შეგნებული პოზიცია“.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, საქართველოში შეინიშნება მდგომარეობის გარკვეულწილად გამოსწორება ბევრ სფეროში (რაც სხვა ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტებმა აღნიშნეს), ეკლესიაში, რესპონდენტთა აზრით, მდგომარეობა უცვლელია: „რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა, არაფერი არ შეცვლილა“. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ „გარდობის რეკლესიის“ შემდეგ „მაღალ [საეკლესიო] ეშვებზე იმ მიმდინარეობს ამაზე საუბარი“.

საეკლესიო კორუფციის შედეგები

ეკლესიაში არსებული კორუფცია ხელის მოთხოვის საშუალებას აძლევს მასში ჩართულ პირებს, რის შედეგადაც „ადამიანები დღეს მღვდელთმსახურებას იმის გამო ირჩევენ, რომ [წინ] წაიწიონ სოციალურ და ეკონომიკურ კიბეზე, და არა რაღაც მოწოდების გამო“. ანალოგიური შედეგები მოჰყვება საეკლესიო პირების ხელშეუხებლობას – ეს გარემოებაც ბევრ არაკეთილსინდისიერ ადამიანს იზიდავს ეკლესიაში.

ვის და როგორ შეუძლია ეკლესიაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ისევე როგორც ნებისმიერ დახურულ სისტემაში, ეკლესიაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული; ამიტომ, ეკლესიაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე უფრო ნაყოფიერი იქნება „შეგნინად“, იმ პატიოსანი და ნუსერი მღვდლების მხრიდან, ვინც თვითონ არის ამ სისტემის ნაწილი და ვისაც „ხელი მიუწევდა ინფორმაციაზე, თუ რა ხდება რეალურად ეკლესიაში“. უნდა აღმოიფხვრას ეკლესიაში არსებული დაუსჯელობის სინდრომიც, „დამნაშავეები უნდა დაისჯონ კანონდარღვევების გამო“.

ამასთან, რესპონდენტები საუბრობენ სახელმწიფოს როლზე ამ ბრძოლაში:

„თუკი სახელმწიფო იქნება კორუმპირებული, ყველა შემთხვევაში ეკლესიაც კორუმპირებული იქნება“;

„სახელმწიფო უნდა ერიოდეს იმ შემთხვევაში, თუკი კანონდარღვევას აქვს ადგილი“.

ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ამ ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოება და მედიაც უნდა ჩაერთოს, საზოგადოება უნდა აღაპარადეს იმ დარღვევების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ეკლესიაში. თუმცა ეკლესიის ჩაკეტილობიდან გამომდინარე, გარე ინსტიტუტები ვერ იმოქმედებენ ეფექტურად მანამ, ვიდრე არ მოხდება შესაბამისი ძვრები ეკლესიის შიდა სტრუქტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მრევლის რაოდენობა იზრდება, მისი გავლენა შიდასაეკლესიო ცხოვრებაზე თითქმის ნულის ტოლია. მრევლის რიგით წევრს დღესდღეობით არ შესწევს ძალა, იბრძოლოს ეკლესიაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ, რამდენადაც მას „წარმოადგენს არა აქვს, თუ რა ხდება [ეკლესიის] შიგნით“. როგორც რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, არსებული სისტემა უზიბავს არაკეთილსინდისიერ პირთაგანს, იპოვონ თავიანთი ადგილი საეკლესიო სისტემაში; რესპონდენტთა ნაწილის აზ-

გელაგის ქარტია

მე, როგორც სასულიერო პირი,

- ვალდებული ვარ:
- გადავლახო გაუცხოება და დავძლიო სტერეოტიპები;
 - ჩავეხა რელიგიათა შორის დიალოგში;
 - დავიცვა უმცირესობების უფლებები და ხელი შევუწყო ქვეყანაში უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დაპირისპირებისა და სტერეოტიპების შემცირებას;
 - წინ აღვდგე ნაციონალიზმის ნებისმიერ გამოვლინებას, რომელიც მიმართული იქნება სხვა ხალხებისა და ეროვნული უმცირესობების დაჩაგრვისკენ და ყველაფერი გავაკეთო პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრისათვის;
 - ხელი შევუწყო ისეთი ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა, შეწყვეტა, მშვიდობა, მონაწილეობა და სოლიდარობა;
 - ხელი შევუწყო გულახდილობის ატმოსფეროს დამკვიდრებას ქრისტიანულ აღზრდაში, თეოლოგიური განათლების მიღებასა და სპეციალიზაციაში;
 - ხელი შევუწყო ეკლესიაში გამჭვირვალობისა და ღიაობის კულტურის დამკვიდრებას;
 - ხელი შევუწყო დიალოგს ეკლესიასა და საზოგადოებას შორის, პლურალიზმს - ეკლესიის წიაღში;
 - გამოვიტვა ჩემი აზრი საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე;
 - მივმართო ძალისხმევა ჰუმანურობისა და სოციალური სამართლიანობისაკენ;
 - არ დავამკვიდრო მღვდლის კულტი ეკლესიასა და საზოგადოებაში;
 - არ შევუწყო ხელი იმას, რომ მღვდლის მანტია მიირტონ და ეკლესიაში თავმჯდომარე ბოგონ არაკეთილსინდისიერად ადამიანებმა.

თავი უნდა ავარიდო:

- ყოველგვარ მცდლობას, რომ რელიგია და ეკლესია გამოიყენონ უთნოკური და რელიგიური შუღლისა და ნაციონალიზმის გაღვივებისათვის;
- ცოდვით მოპოვებული ფულის მიღებას. არ მივიღო შემოწირულობა კრიმინალი დამნაშავეებისაგან;
- პრივილეგიებით, მღვდლის იმუნიტეტით სარგებლობას.



რით, შესაძლებელი რომ იყოს მრევლის მიერ მოძღვრის არჩევა, ეს ნაწილობრივ მინც შეუწყობდა ხელს ამ პრობლემის აღჭრას. სხვა მხრივ, ეკლესიაში კორუფციის შემცირებას ისიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს, თუ მოხერხდებოდა სამრევლო ცხოვრებისა და ეკლესიის ეკონომიკური საფუძვლების მონესრულება:

„თუკი მღვდელს დიდი მრევლი ჰყავს, მაგალითად, 2000 კაცი, თითოეულმა რომ თვეში 1 ლარი შესწიროს ეკლესიას, ეს უკვე გამოსავალია“.

საეკლესიო სფეროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ზონა იქნება, თუ აღარ იარსებებს სასულიერო პირებისთვის დანესხული პრივილეგიები:

„არავითარი პრივილეგია სასულიერო პირს არ უნდა ჰქონდეს, შესაბამისად, კორუფციის წილიც მნიშვნელოვნად შემცირდება“.

რესპონდენტთა აზრით, უფრო მაღალი მოთხოვნები უნდა იქნეს ნაყენებული სასულიერო პირების მიმართ:

„არავინ არავის არ ავალდებულებს, რომ იგი ვახდეს სასულიერო პირი. და თუკი ვინც ირჩევს ამ გზას, იგი იმთავითვე მზად უნდა იყოს ნებისმიერი გასაპირის გადასატანად, მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მას ოჯახი... ეს მისი მოწოდება უნდა იყოს“.

რესპონდენტთა აზრით, სასულიერო

პირებს შეუძლიათ წინ აღუდგინონ „ფულის გათვითრებას“, თუკი ისინი უბრალოდ უარს იტყვიან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების ან ნივთების მიღებაზე:

„არ უნდა მიიღოს მღვდელმა ის ნივთი, არ უნდა აიღოს ფული, თუნდაც ეკლესიის ასაშენებლად, ისეთი ადამიანისგან, კრიმინალისგან, რომელსაც ცოდვით აქვს მოპოვებული ეს ფული“.

ამასთან, რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ კორუფცია მიეღ საზოგადოებაში გავრცელებული, მისი დამარცხება მხოლოდ ცალკეულ სფეროში, იქნება ეს ეკლესია, თუ ნებისმიერი სხვა, შეუძლებელია:

„როდესაც კორუფცია მასშტაბებს იძენს, ფაქტურად მთელი საზოგადოება ხდება კორუფციის ნაწილი“.

ასეთ ვითარებაში, რესპონდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქრისტიანულ ფასეულობებს, რომლებიც დაეხმარება ადამიანებს და მილიანად საზოგადოებას დაძლიოს ეს სენი: „კარგი, წესიერი, პატიოსანი და არაკორუმპირებული ადამიანები უნდა დაფასდნენ“, – თვლიან ისინი.

¹ ეს ფოკუს-ჯგუფი იყო თავისუფლების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული იმ ფართო კვლევის ნაწილი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებმა.

გამოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება N114-C-00-01-00136-00).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები კუთვნილი ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის თვალსაზრისს.

ფეხბურთი

ბატისტუტა კვლავაც "ფიორენტინაში" ოცნებობს

გაბრიელ ომარ ბატისტუტამ თავისი კარიერის უდიდესი ნაწილი იტალიაში გაატარა. ჯერ "ფიორენტინაში", შემდეგ კი "რომასა" და "ინტერში" თამაშობდა. 2001 წელს კი "რომას" შემადგენლობაში "სკუდეტოს" დაეუფლა. არგენტინელი გულშემატკივრების მიერ "ბატისტუტად" მონათლულმა ბატისტუტამ საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში სამჯერ იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატებზე (1994, 1998, 2002 წლებში) და 10 გოლი გაიტანა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ბატისტუტამ 57 გოლის გატანა შეძლო, რაც არგენტინაში რეკორდია. სახელოვანი ბატისტუტა პენსიაზე ჯერ არ გასულა. ყატარის "ალ-არაბის" შემადგენლობაში ის ისევ თამაშობს ფეხბურთს. იქაურობა ძალიან მოსწონს, თუმცა, მაინც "ფიორენტინაში" დაბრუნებაზე ფიქრობს.

- ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ "ალ-არაბის" შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარეთ ყატარში და ჯერ არც ერთი გოლი არ გაგიტანიათ. მეტიც, თქვენ ორჯერ ააცილეთ პენალტი. დანაშაულის კომპრობა ხომ არ განუხებთ?
- ნამდვილად არა. ოპერაციის შე-

მდეგ, ზაფხულში, დიდი პაუზისა და ხანგრძლივი სარეაბილიტაციო ეტაპის გავლა მომიხდა. სამწუხაროდ, მინდორზე დაბრუნების შემდეგ იძულებული ვიყავი, ხელმეორედ შემევენა, რამაც რიტმიდან ამომაგდო.

- მას შემდეგ, რაც ოპერაცია გაიკეთო, რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ ყატარს მიატოვებდით. მართლა აპირებდით გუნდის შეცვლას?
- არა. სარეაბილიტაციო პერიოდი არგენტინაში, "სან ლორენცოში" გავიარე. ოპერაციის შემდეგ სწორედ ამ გუნდთან ერთად ვეარჯიშობდი ფორმის აღდგენის მიზნით. ამან ბევრი ეჭვი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა, სინამდვილეში "ალ-არაბიდან" ნასვლაზე არც მიფიქრია.

- მაგრამ მას შემდეგ, რაც "ფიორენტინა" სერია A-ში დაბრუნდა, თქვენს სახელს ამ გუნდსაც უკავშირებდნენ.
- მართალია. ამ გუნდის ამბებს დიდი ყურადღებით და სიხარულით ვადევნებდი თვალს. "ფიორენტინა" ჩემი მშობლიური გუნდია.

- იქაურობა გენატრება?
- რა თქმა უნდა. ამ გუნდში ჩემი კარიერის ულამაზესი, ყველაზე წარმატებული წლები გავატარე. მათ რომ ჩემთვის მოემართათ, უარს ნამდვილად ვერ ვეტყვოდი.

- გამოდის, რომ კარიერის დამ-



გაბრიელ ბატისტუტა: "ფიორენტინა" ჩემი მშობლიური გუნდია."

თავრება ფლორენციაში გასურთ?
- დიას, ეს ჩემი ოცნებაა...
- ყატარის ლიგას უფრო "დასასვენებლად ადგილად" განიხილავთ?
- არა, ასე არ ვიფიქროვ. მაგალითისთვის ფერნანდო იერო ავიღოთ. ყატარში გატარებული სეზონის შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა ევროპაში

და ინგლისურ "ბოლტონში" გააგრძელა თამაში. იყენებ სხვა ფეხბურთელებიც, რომლებიც, იეროს მსგავსად, ევროპაში დაბრუნდნენ. მხოლოდ ეფენბერგმა და ბასლერმა დათხოვეს ფერნანდო იერო ავიღოთ. ყატარში გატარებული სეზონის შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა ევროპაში

- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. ის უდიდესი ნახევარმცველი იყო. ეფენბერგს ჯერ კიდევ "ფიორენტინაში" ჩვენი ერთობლივი თამაშის პერიოდთან ვიცნობ. მან ყველგან დაამტკიცა საკუთარი ოსტატობა - გერმანიაშიც, იტალიაშიც და აქ, ყატარშიც.

მისაბაძი კაცი

შედეგად ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ესპანეთის "ბარსელონას" ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი აღიარეს. საინტერესოა, რომ ჰენრიკ ლარსონის საფეხბურთო კარიერა კინალამ დასაწყისშივე შეწყდა. 15 წლის ასაკში, როცა ფეხბურთელი "ჰეგაბორგის" შემადგენლობაში ვარჯიშობდა, მწვრთნელებმა ის ახალგაზრდული გუნდიდან გარიცხეს, რადგან, მათი აზრით, ლარსონი ძალიან სუსტი, დაბალი და არც ისე ხისტი იყო, რომ მკაცრი ფიზიკური ორთაბრძოლებისთვის გაეძლო და პროფესიული ფეხბურთის რეალობას შეეგუებოდა.

თუმცა, სპეციალისტებმა ვერ გაითვალისწინეს თხუთმეტი წლის ჰაბუისი ჯინი და შეუპოვრობა, რომელმაც დღეისთვის უკვე ორჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე, ორჯერ - ევროპის პირველობაზე, ხოლო გლაზგოს "სელტიკს" შემადგენლობაში მრავალი ჯილდო მოიპოვა. უფრო მეტიც, 32 წლის ასაკში ჰენრიკ ლარსონი "ბარსელონაში" გადავიდა და მზად არის, ახალი სიმალეები დაიპყროს.

ლარსონს შედეგის ჰაბუისა ნაკრებში არასოდეს უთამაშია, მაგრამ 1992 წელს, როცა მისმა შესანიშნავმა ფორმამ "ჰელსინგბორგს" საშუალება მისცა, უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებულიყო, ის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს და მას შემდეგ ის ყოველთვის სასურველი სტუმარია ქვეყნის პირველ

გუნდში. მომდევნო სეზონში ის პოლანდის "ფეინორდში" გადავიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი შედეგის ეროვნულ ნაკრებს აშშ-ის მსოფლიო პირველობაში მესამე ადგილის დაკავებაში დაეხმარა. მესამე ადგილისთვის მატჩში მან ოთხიდან ერთ-ერთი გოლი გაუტანა ბულგარელებს, ხოლო მეოთხედფინალში, პენალტების სერიაში მან რუმინეთის ნაკრების კარში გადაწყვეტი დარტყმა გამოიყენა.

აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ლარსონს თბილი მოგონებები დარჩა. მაშინ მას გადაწყვეტი თერთმეტმეტრიანის დარტყმა მიანიჭეს. არადა, საერთაშორისო არენაზე თამაშის არცთუ ისე დიდი გამოცდილება ჰქონდა. "მე 23 წლის ვიყავი და არაფრის დარდი არ მქონდა, - ილიმება ლარსონი, - პატრიკმა (ნაკრების კაპიტანი პატრიკ ანდერსონი) მითხრა, რომ მე მეექვსე პენალტს დავარტყამდი. დაეთანხმდი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მიამიტი. ვერც კი წარმოემდგინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს დარტყმა".

1998 წელს ლარსონმა გლაზგოს მიაშურა და იქ შეიძინა სეზონის განმავლობაში დარჩა. მაღალმა შედეგაინობამ, შემართებამ, შრომისუნარიანობამ და საქმისადმი სერიოზულმა მიდგომამ ლარსონს "სელტიკის" გულშემატკივართა დიდი სიყვარული მოუტანა. შედეგად, შოტლანდიის ჩემპიონატში გამართულ 221 შეხვედრაში ლარ-



ჰენრიკ ლარსონი შედეგით ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სონმა 175 გოლი გაიტანა. თუმცა, ლარსონი ყველაზე უფრო კარგად ახასიათებს იმ სერიოზულ ტრავმას, რომელიც ფეხბურთელმა 1999 წლის ოქტომბერში, "ლიონთან" უეფას თასის მატჩში მი-

ღო. თუმცა, ურთულესი მოტივების მიუხედავად, ლარსონმა შეძლო აღდგენა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, ხოლო ერთი წლის შემდეგ 37 მატჩში 35 გოლი გაიტანა და ევროპის საუკე-

თესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი "ოქროს ბუცი" მიიღო. 10 წლის განმავლობაში ლარსონი უმაღლეს დონეზე ითამაშებს. ის ძალიან დაეხმარა გლაზგოს "სელტიკსა" და შედეგის ნაკრებს წარ-

დორტმუნდს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ჯერ კიდევ 1997 წელს დორტმუნდის "ბორუსია" ევროპის საუკეთესო კლუბად მიიჩნეოდა. ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ დორტმუნდელებმა საკონტინენტაშორისო თასზე ბრავილიის "კრუზაიერ" დაამარცხეს და მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტულიც დაიბევეს. თუმცა, განვლილი დროის განმავლობაში კლუბი ფინანსურ კრიზისში გადაეშვა. კრიზისიდან ერთადერთ გაოსავლად კლუბი პრეზიდენტის შეცვლას თვლის.

ჰერდ ნიბაუმმა, რომელმაც "ბორუსიას" პრეზიდენტის პოსტი დატოვა, კლუბის მართვის სადავეები საფონდო ბირჟაზე აქციების შექენით მიიღო. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდის "ბორუსია" ერთადერთი გუნდია გერმანიაში, რომლის აქციებიც საფონდო ბირჟისთვის არის ხელმისაწვდომი. თავის დროზე, 1986 წელს, დოქტორმა ნიბაუმმა პრეზიდენტის პოსტი დოქტორ რეინჰარდ რაუბალსგან გადაიბარა. ნიბაუმთან ერთად ევროპულ და მსოფლიო ასპარეზზე მიღწეული გამარჯვებების გარდა, გუნდმა გერმანიის სამი ჩემპიონატი მოიგო, რომელთაგან უკანასკნელი 2001/2002 წლების სეზონზე მოდის და ერთხელ დაუფლავა გერმანიის თასს.

თუმცა, ჯილდოები დორტმუნდელებს ძვირად დაუჯდათ. ნიბაუმის პრეზიდენტობის დროს, რომელმაც თავისი პოსტი ჰქვეინურად, დირექტორთა საბჭოს შეკრებამდე სა-

მი დღით ადრე დატოვა, კლუბის საერთო ვალმა 118,9 მილიონ ევროს მიაღწია, ხოლო ბოლო ფინანსურ წელს ოპერატიულმა დანაკარგმა 68 მილიონი შეადგინა.

ფინანსური წარუმატებლობა გუნდის წარუმატებელმა თამაშმა განაპირობა. ერთ დროს თითქმის დაბეჭეული ჩემპიონთა ლიგის საგზური ინტერტოტოს საგზურით შეიცვალა, ხოლო გერმანიის ჩემპიონატში გუნდი გათამაშების ცხრილის ფსკერისკენ დაეშვა. დორტმუნდელებმა ვერც გერმანიის თასის გათამაშებაში გამოიჩინეს თავი.

გიომ ვარმიუს, ნორვეგიელი ბერგდოლმოსა და დანიის ნაკრების ფეხბურთელის ნიკლას იენსენის შექენამ არ გაამართლა. დაბნეული დაცვის ხელმძღვანელობა კვლავ გერმანიის ეროვნული ნაკრების ვეტერანს კრისტიან ვიორნსს და სებასტიან კელის უწევთ. ხოლო შეტევაში იან კოლერსა და ტომას როსიცკის პარტნიორთა მხრიდან მხარდაჭერა აკლიათ.

ვან მარვეიკმა ამ სირთულეების წინაშე ქედი არ მოიხარა და მედგარი ხასიათი გამოავლინა. "ჩვენ ვადგებულნი ვართ, გადავრჩეთ და ამას გავაკეთებთ კიდევ", - განაცხადა მრტერინდამის "ფეინორდის" ექს-მწვრთნელმა. თუმცა, ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი გაუგებრობის პირობებში მარვეიკს ძალიან გაუჭირდება.



დორტმუნდელი გულშემატკივრები გუნდისკენ მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ.

გერმანიის ჩემპიონატში გუნდის უფერული გამოცვლის პირობებში კლუბის აქციების ფასი თანდათან ეცემა. თუ ფასის პიკზე ერთი აქცია 11 ევრო ღირდა, ამჟამად მისი ფასი 2,5 ევრომდე დაეცა. ბირჟის მყიდ-

ველმა ფლორიან ჰომმა კი ამ აქციების თითქმის მეოთხედი შეიძინა. 46 წლის კომერსანტის გამოჩენას, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი ნიბაუმს (ნიბაუმი ჯერ კიდევ კლუბის გენერალური მენეჯერია),

მმართველობაში უარესად ცივად შეხედნენ, რადგან პრეზიდენტის საჯარო დაცვა 57 წლის რაუბალს, რომელიც 1979-1982 და 1984-1986 წლებში უკვე ფლობდა ამ თანამდებობას. ამის გამო გუნდში არ-

სებული კონფლიქტი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. 25 წლის განმავლობაში, რაუბალმა, როცა ის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო, კლუბი საფუძვლიანად შეინახა. ახლა ის პირობას დებს, რომ ყველაფერს ილინებს იმისთვის, რათა კლუბი უმაღლეს მწვერვალზე დაბრუნდეს. მას ერთი სული აქვს, გუნდის რეორგანიზაცია განახორციელოს, ხოლო ამ საქმეში უმთავრეს თანაშემწედ გერმანიის თავდაცვის მინისტრს პეტერ შტრუკს ასახელებს. შტრუკის მხრიდან ის ტანჯა კი არა, არამედ საქმიან რჩევებს ელოდება.

ჰომი კი გუნდის მომავალს ცოტა სხვაგვარად ხედავს. საგანგებოდ შედგენილი სამწლიანი პროგრამის მეშვეობით ის პირობას დებს, რომ კლუბს ფინანსური კრიზისიდან გამოიყვანს. თავიდან ის გეგმავს, გუნდის სტადიონის სახელის ("ვესტფალენშტადიონი") გაყიდვით მიიღოს შემოსავალი - 40 მილიონი ევრო. ვინაიდან ჰომს კლუბის აქციების მეოთხედი აქვს, მის აზრს, უნდა დირექტორთა საბჭოს ეს თუ არა, იძულებული არიან, ყურადღება მიუქციონ.

ამასობაში კლუბის გულშემატკივრებს სურთ, გუნდმა, ბოლოს და ბოლოს, აჩვენოს საკადრისი თამაში და ევროპული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდეს, რადგან 1997 წლის ტროფების შემდეგ მთელი შვიდი წელი გავიდა.

აზიანდას ფონი "ღია საზოგადოება საქართველო". პროექტს ხორცილებს გაერთიანებული "24 საათი"

"სად არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსიანი ღმრთეებისა, რამეთუ თქვენ, ხალხნიანი უფალ-გყვნა ღმრთთან ქვეყანისა განგებასა" - უთხრა მამა გრიგოლმა ანტი კურაპალას

თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები გლდანი

პოთა ანტიკური

ჩემი აზრით, არ კეთდება ბავშვებისთვის გასართობი და დასასვენებელი პარკები გლდანის მერვე მიკრორაიონში. არსად არ არის შექმნილი. ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის ჯანმრთელობას, ყველაფერი ფასიანია, აცრებიც კი. არ მომწონს, როცა ბავშვებზე ყიდნიან სიგარეტს, სპორტიან სასმელებს და ცივი იარაღს, კე-რძოდ, დანებს. მე მომწონს, რომ არის პატრული და იჭერს დამნაშავეებს, ესმარება ადამიანებს და იცავს ხალხს დამნაშავეებისგან. მე არ მომწონს, რომ ამდენი ხალხი უსაქმოდ და მათხოვრობენ. არ მომწონს, რომ ამდენი უპატრონო ძაღლია და ხალხს ეშინია გარეთ გამოსვლის ძაღლების გამო.

ლელა ჯარბიძე

ძალიან მინდა, ქუჩები დასუფთავდეს, პარკები და სკვერები აღდგეს, რადგან ხალხს შეეძლოს საღამოობით გასეირნება, დაჭუჭყიანებულ ქუჩებში არავის სიამოვნებს გავლა.

მინდა, გაძლიერდეს სწავლება და უცოდინარების თავში რამე შევიდეს, რომ მომავალში გზას არ აცდნენ. ძალიან მინდა, გარემონტდეს ჩემი სკოლა, 71-ე საშუალო სკოლა და ხელფასი მოემართოს მასწავლებლებს, რადგან ისინი ბევრს წვალაობენ, რომ რამე გვასწავლონ. მე ძალიან ბევრი რამის შეცვლა მინდა, მაგრამ ყველაფრის დანერგა შეუძლებელია.

ნათია მათიაშვილი

მე ვცხოვრობ გლდანის მერვე მიკრორაიონში. ძალიან მინდა, რომ გლდანი ყველანაირად მოწესრიგებული იყოს, მათ შორის, ჩემი მიკრორაიონიც. პირველ რიგში, იყოს ჰიგიენა და სუფთა, ასევე, დადგან ნაგვის ბუნკერები, გაკეთდეს ქუჩებში და პარკებში განათება, დადგან სკამები, შერემონტდეს სკოლა-ბაღი, იყოს დამაკმაყოფილებელი ხელფასები. შეკეთდეს გლდანის ხიდები. ასევე, გაიყვანონ გაზი, იყოს მუდმივი წყალი, ოცდაოთხსაათიანი შუქის გრავიტი.

კიდევ ძალიან მინდა, აშენდეს სხვა ეკლესიაც, დარგონ ხეები, ქუჩის მანანნალა ძაღლები ნაიყვანონ თავშესაფარში და მოუარონ. კიდევ ძალიან მინდა, გლდანი დადიოდეს მეტი პატრული, რომ აკონტროლოს ყველა კუთხე-კუთხუთი, მაშინ არც ქურდობა მოხდება და არც ძარცვა, არც ბიჭების ჩხუბი და სხვა უბედურება.

ძალიან მაძლიერებს ვიქნები მეც და გლდანის სხვა მცხოვრებლებიც, თუ მთავრობა ამ ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს და შეგვისრულებს. თუ შეასრულებს, წინასწარ მადლობას ვუხდით, ხოლო თუ არ შეასრულებს, ვიტყვი, რომ მათ ამის ფინანსური გასაჭირი არა აქვთ, ესე იგი, მათთვის ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ ყოფილა.

ოლიკო გიგლაშვილი

ძალიან მეცოდებიან ის ადამიანები, რომლებიც ლუკმა-პურის საშოვნელად გარეთ გამოდიან და მათხოვრობენ, რომ პურის ფული მაინც იშოვონ და მშვიდები არ დარჩნენ. ძალიან მეცოდებიან ის ბავშვები, რომლებსაც დედ-მამა უსახლკაროდ ტოვებს ყოველგვარი დახმარების გარეშე. ისინი კი იძულებული არიან ან იმ-ათხოვრონ, ან იქურდონ, რის შედეგადაც ცუდ გზას ადგებიან და ციხეში ხვდებიან. მაგრამ, რა ქნან ამ ბავშვებმა, რომლებსაც სარჩენად არავითარი შემოსავალი არ აქვთ. აგრეთვე არ მომწონს ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ დედ-მამას მოხუცთა თავშესაფარში ტოვებს და ყოველგვარ მოვალეობას იხსნის. ეს გამოსავალი არ არის. ამით ისინი თავიანთ მოვალეობას ვერ მოიხსნიან, რადგან ეს ცოდვად გაჰყვებათ.

ზოგი ისეთი გაჭირვებულია, რომ საქმლის ფული არა აქვს. ზოგ მრავალშვილიანს კი პურის ყიდვის საშუალებაც არა აქვს. ამის გამო, ზოგს შვილი უკვდება. ამას კი მთავრობა ვერ ხედავს. ძალიან მინდა, დავეხმარო მათ, მაგრამ არ შემიძლია. საქართველოში ხშირად ხდება ძარცვა, მკვლელობა და მას მრავალი ადამიანი ეწირება. მე არ მომწონს დღევანდელი ახალგაზრდობა. ზოგს სწავლაც არ უნდა. არიან საქართველოში ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც თავისი ნიჭის გამოვლენა არ შეუძლიათ, რადგან ამის საშუალება არ აქვთ. საქართველოში ქუჩები ძალიან დაბინძურებულია, ამასაც ვერაფერს ხედავს? მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

მომწონს, რომ პატრული აქტიურად მუშაობს და თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. ეს მე ძალიან მიხარია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია.



მარიამ მაქარაშვილი, მარიამ მაყანაშვილი, მარიამ ტყეშელაშვილი, მადონა მაქარაშვილი

ჩვენ პრობლემების ჩამოთვლას არ დავინებებ. ვიტყვი, რომ მანუხებს პერიოდი, რომელიც დღეს დაუდგა უფროს თაობას.

მოხუცი, რომელიც იღებს უმწეოთა პენსიას, მხოლოდ და მხოლოდ პურის ყიდვის საშუალება აქვს. პრობლემებზე ფასები მუდმივად იზრდება. იზრდება უმუშევართა რიცხვი. ამას, ასევე, ეწი-რებიან მოზარდები, რომელთა მშობლებსაც არა აქვთ საშუალება, რომ ელემენტარული მოთხოვნი-ლებები დაკმაყოფილონ. ისინი არ ერიდებიან არანაირი დანაშაულის ჩადენას, რასაც ხშირად მსხვე-რპლი მოჰყვება. ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, რომ გამოძებნონ რაიმე საშუალება ამ ბავშვების და-სახმარებლად, რომ მათი მშობლები უმწეოები არ იყვნენ და დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

ნინო ბუბუჩანი

ჩემი აზრი გარემოზე ასეთია: პირველ რიგში, მე არ მომწონს ქართველი ხალხის არაპროფესი-ონალიზმი. უმრავლესობა თავისი პროფესიის ერთგული არ არის. მე აგრეთვე არ მომწონს, რომ სა-ავადმყოფოებში ავადმყოფები მრავლდებიან, რადგან ჩვენ არ ვიცით ჯანმრთელობის გაფრთხილე-ბა - ვჭამთ იმას, რაც მანუხებელია, რადგან მისი ფორმა და გემო გვაცდუნებს და არ ვჭამთ ნა-კლებად გემრიელს, მაგრამ სასარგებლოს. ამიტომაც მე მინდა, რომ ქართველი ექიმები ნამდვილი მკურნალები გამოვიდნენ. ჩემი აზრით, ჯერ უნდა გამოსწორდეს ხალხი, შემდეგ კი მთავრობაც კა-რგი გვეყოლება. მთავრობის მოქმედებიდან მე არ მომწონს ის, რომ ალარ ვსწავლობთ რელიგიას. აგრეთვე მე ვფიქრობ, რომ საჭიროა "ვეფხისტყაოსანი" თავიდან ბოლომდე ვიცოდეთ. არ მომწონს, რომ გაყიდვაში არის ცივი იარაღი და სხვა მანუხებელი საგნები.

მიუხედავად ამისა მე მაინც მიყვარს ჩემი სამშობლო და მე ვიბრძობე იმისთვის, რომ ქართველი ხალხი გამოვასწორო, არ მოხდეს ბევრი მკვლელობა, გატაცება, ქურდობა და სხვა დანაშაულები.

წერილები მთავრობას

მარი კაციაძე

მე ვარ მერვე კლასის მოსწავლე. მე ძალიან არ მომწონს დღევანდელი ახალგაზრდობა, მათი ნაწილი ხომ ცუდ გზას ადგას. ძალიან მინდა, რომ ისინი მთავრობამ დაასაქმოს და აღ-არ იყოს ქვეყანაში ამდენი დაუსაქმებელი ადამიანი, რომელთა ცხოვრებაც გაუსაძლისია. ას-ევე მინდა, ჩვენს საცხოვრებელ ადგილზე, გლდანში, იყოს ისეთი პირობები, რომ ადამიანმა სუფთა ჰაერზე დაჯდომა შეძლოს. ასევე ძალიან მინდა, რომ საქართველოში მათხოვრები არ იყვნენ და გამოიყოს მათთვის ისეთი საცხოვრებელი ადგილები, სადაც გაჭირვებულები იცხო-ვრებენ და იგრძნობდნენ, რომ ისინი არავისზე ნაკლები არ არიან და ასევე მინდა, რომ ახ-ლანდელმა ბავშვებმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები უკეთ გაატარონ, ვიდრე მათმა მშობლებმა. დიდი თხოვნით ვთხოვ მთავრობას, რომ გლდანში უფრო კარგი პირობები იყოს და თუ ამას შეასრულებენ, წინასწარ დიდ მადლობას ვუხდით მთავრობას.

თინათინ მისხარი

მე არ მომწონს, რომ ამ ქვეყანაში ამდენი ნაგავია. არ მომწონს, რომ ქუჩაში ამდენი მათხოვა-რია, არ მომწონს ის, რომ ქუჩაში დედა იმ შვილს ყიდის, რომელსაც ცხრა თვე მუცლით ატარე-ბდა, არ მომწონს ის, რომ ქუჩაში ნარჩენებს ყრიან და აბინძურებენ გარემოს, არ მომწონს ის, რომ კაცი კაცს კლავს საქმლის გამო, არ მომწონს ის, რომ სახლში ისევე წვიმს, როგორც გარეთ, რომ წიგნები ძვირია და ბევრი ვერ ყიდულობს. არ მომწონს, რომ ქუჩაში დასაკეცი დანები იყიდება და ყოველ დედას ეშინია, რომ გარეთ გასულ მის შვილს ქურთუკის გამო ვინმე დანას გაუყრის. არ მომწონს ის, რომ ვისაც უნდა სწავლა, ისინი ვერ სწავლობენ და ვისაც აძალებენ, მათ აქვთ სა-შუალება. არ მომწონს გაუკეთებელი გზები, რომ ქვეყანაში ბევრი მკვლელობა და ქურდი და მათ სათანადოდ ვერ სჯიან. არ მომწონს, რომ გლდანში სასიყვარულო ადგილები არ არის. მე ერთი უბრა-ლო ადამიანი ვარ, რომელიც არც არავისზე მეტია და არც ნაკლები. უბრალოდ, მინდა, რომ ამ ქვეყანაში ვიცხოვრო.

ირმა კილაშვილი

ამქვეყნად, კერძოდ, საქართველოში ბევრი რამ არ მომწონს. ერთ-ერთი არის ის, რომ სხვა რა-იონებში, მაგალითად, თემქაზე, მუხიანში და საერთოდ ყველგან, ქალაქის ცენტრში პარკებია და გლდანში არაფერი არ არის, არც პარკები და არც არაფერი. მეორე არის ის, რომ განათება არ არის. თუ განათება არ იქნება, პარკები რა საჭიროა. ამიტომ საჭიროა იყოს განათება.

მესამე არის ის, რომ სახელმძღვანელო წიგნები ძალიან ძვირია. ზოგიერთ ბავშვს სწავლის დი-დი სურვილი აქვს, მაგრამ სახელმძღვანელოების შესაძენი ფული - არა. წიგნები ასეთი ძვირი არ უნდა იყოს. ახლა მერვე კლასში ვარ და ალგებრის სახელმძღვანელო ექვსი ლარი ღირს, მეათე კლასში, ალბათ, 10 ლარი ეღირება. ბავშვების უმეტესობას, ალბათ, ამ-იტომაც არ აქვთ სწავლის სურვილი.

მეოთხე და უმთავრესი არის ის, რომ მაღაზიებში იყიდება დანები. ე.წ. "ბაზოჩკები". მე ვფიქ-რობ, რომ ეს დანები არ უნდა მიჰყიდონ არასრულწლოვნებს და საერთოდ არ უნდა იყიდებოდეს. ამ დანების მსხვერპლი არა ერთი ბიჭი გამხდარა. არავის არ უნდა ვინმე მოკლას, მაგრამ ეს შე-მთხვევით ხდება.



ბაიასა კანონიკური კულტურის ფოტოები

ფოტოგალერა



დალი.

ავტორი: იური ლობოძინი

TV პროგრამა

30 ნოემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეპოლიცია" 10.00 სერიალი "კვლევი და ვარდები" 11.00 თამაში "ყველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი "შეგვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "პოლიციელი და ქურდები" (გ) 15.25 სერიალი "ბევრლი პილზი" 16.30 სერიალი "კვლევი და ვარდები" 17.25 "ტელეპოლიცია" 18.20 "რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი "ბევრლი პილზი" 19.45 პატრული 19.55 სერიალი "შეგვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი "ემმაკეულინი" (18) (მერინ სტოუნი) 02.20 პატრული

პირველი არხი

07.30 ალიონი 09.40 სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბენის ქვეშ" 10.00 "იმღერ რამე" 10.30 მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი "შვედობაათა ძიების განყოფილება" 13.00 "პატარებელი" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი 15.20 "ანულიაგი" - "პატარატიონები" (1-ლი ნაწ.) 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 დოკ. ფილმი "დინაინი" 16.30 "ისტორიანი" 16.55 სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბენის ქვეშ" 17.20 დოკ. ფილმი "ამერიკის ბიოგრაფია" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუმბულის სკოლა" 19.10 "იმღერ რამე" 19.40 პასტი-ბუბუ 20.45 სერიალი "შვედობაათა ძიების განყოფილება" 22.00 ქიმიური 00.00 მხ. ფილმი "ნკიპურტები" (გ)

მუსიკა

14.00 ქართული მუსიკა 16.00 "საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "მიღვილი" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი "მდივანი" (გ) 00.30 ქართული მუსიკა

მზი

08.30 მუსიკა მზზე 09.00 ტელეფუნალი "შოდა" 09.30 "გაბატევათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "სინიორ ვინელი" 10.30 სერიალი "ეუბი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "შურა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ზ. ნერეთელი. 13.05 სერიალი "პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შექცენებითი პროგრამა "ტაიმსლუტ" 16.05 სერიალი "მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "შურა" 17.20 სერიალი "პოლიციელი ქალები" 18.20 "გაბატევათ ბარტ ვულფი" 18.50 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 19.50 "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური 20.45 სერიალი "სინიორ ვინელი" 21.15 სერიალი "ეუბი" 21.45 კრიმინ. დრამა "სთმ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 00.00 მხ. ფილმი "პელოუნი" (18) (ჯემოლი ლი კერტისი)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბენის ქვეშ" 19.25 სერიალი "შვედობაათა ძიების განყოფილება" 20.15 "იმღერ რამე" 20.45 პასტი-ბუბუ 21.00 დოკ. ფილმი "ბუმბულის სკოლა" 21.55 ლერერის შოუ 22.35 მხ. ფილმი "თეზო" (გ)

მესამე არხი

18.00 მხ. ფილმი "მუსიკის პანგები" (გ) 20.45 დოკ. ფილმი 21.40 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი "უშაკი ქურდი" (15)

მეოთხე არხი

07.00 სერიალი "რელიგიების მამებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ყველაზე კვლევითი პროგრამა" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 "იმღერ" დილა 09.20 "დუბლინი" 10.05 სერიალი "მოგადავებ" 11.15 სერიალი "შტერის გემი" 12.20, 17.10, 03.45 იმედის მუღღები 12.40, 16.25, 03.15 ტე-მარკეტი 13.15 "პიპი" ჩვენი პარტნიორი 13.25 მხ. ფილმი "სამი ალფის ხე პალუშინაზე" (ო. ფრემოვი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 03.05 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "შვეიცარია" მე-2 ნაწ. 17.25 სა. პროგრამა "გოლი" 18.05 სერიალი "მოგადავებ" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "შტერის გემი" 22.40 სერიალი "კეპი დიდ ქალაქში" 23.00 "პირველები" 23.40 მხ. ფილმი "ვერმეტიანილი" (15) (ლ. ნოსონი) 01.15 სერიალი "ნემ ბრიჯესი" 02.10 "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

პატარა

09.00 საინფ. დოკუმენტი 09.20 სათავად. ფილმი "პატარა პრინცესა" 10.50 ისტორ. ფილმი "მეფეთა მეფე" 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 12.30 მხ. ფილმი "პრაუნინგის ევრსა" 14.00 მუსიკა 14.45 კომედი "გაუფრთხილები ავტომობილს" 16.15 მულტფილმი 17.45 თრილერი "დიდი ლეზბოსკი" 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვისტი" 18.50 თრილერი "დიდი ლეზბოსკი" (გაგრ.) 20.00 მუსიკა 21.00 დრამა "პამლეტი" 23.30 საინფ. დოკუმენტი 23.50 დრამა "პამლეტი" (გაგრ.)

OPT

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОП". 11.30 Смехопанорама Евгения Петросяна. 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10 Вячеслав Невинный в фильме "ИСПЫТАТЕЛЬНЫЙ СРОК" 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Юозас Будрайтис в дет. сериале "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00 "Пять вечеров". Вторник. 18.20 "Пан или пропал". Поединки с Николаем Фоменко. 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 Секретное досье. "Британский самурай". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 "Звездный эфир". Ираклий Андроников. 00.40 "Сканер". "Брачное агентство". 01.10 Тим Роббинс в фильме "ИГРОК" 03.40 Кифер Сазерленд в триллере "ОКО ЗА ОКО"

НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал "МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00 "Сегодня" 10.20 Криминальная Россия. 10.55 "Стресс". Ток-шоу 11.50 Сериал "ТОЛЬКО ТЫ...". 13.35 Детективный сериал "ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30 Сериал "ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домно". 17.25 Сериал "РОКИРОВА". 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал "ТОЛЬКО ТЫ...". 20.50 Сериал "ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 22.00 "Страна и мир" 22.40 Сериал "БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВОИ...". 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Стивен Рей в детективе "ГРАЖДАНИН ИКС" 02.25 Бильярды. 03.10 Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: страна гризли". 04.10 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55 Сериал "МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40 Чрезвычайное происшествие.

მოკლე

კიდევ ერთი აკადემიური თეატრი

გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრს აკადემიური თეატრის სტატუსი მიენიჭა. როგორც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში განაცხადეს, თეატრისთვის აკადემიურის სტატუსის მინიჭება საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა. აქამდე საქართველოში ხუთი აკადემიური თეატრი იყო. აქედან ორი რეგიონებში - ქუთაისის ლადო მესხივილის სახელობის და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის აკადემიური თეატრები, და-

ნარჩენი (ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრები) კი - თბილისში. ინტერ-პრესი

ფოლკლორის თეატრი ათონელზე

დღეს ათონელზე მდებარე თეატრში სპექტაკლი "ქაჯანას" პრემიერა გაიმართება. პრემიერას "ფოლკლორის თეატრი" წარმოადგენს. სპექტაკლი რეჟისორმა ვაჟა ძიგუამ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთწლიანი თანამშ-

რომლობის შემდეგ დადგა. პარალელურად, "თეატრში ათონელზე" რეჟისორი გოგი თოდუა ახალ სპექტაკლზე ("პრემიერა") მუშაობს. პრემიერა 25 დეკემბრისთვის იგეგმება. ინტერ-პრესი

ჭულია რობერტის დედა გახდა

2002 წლის "ოსკაროსანმა", პოლიფუნდის კავსა ვარსკვლავმა ფილმების "ლამაზმანის", "ერინ ბრეკოვიჩისა" და "გაქცეული პატარძლის" მთავარი როლების შემსრულებელმა ჯულია რობერტსმა კვირას ქვეყანას ტყუპი გოგ-

ბიჭი მოავლინა. გოგოს პეიზელ პატრიკისა დაარქვეს, ბიჭს - ფინუს უოლტერი. თუ რატომ შეურჩიეს მათ ეს სახელები, ჯერჯერობით, იდუმალებითაა მოსილი. საინტერესოა, რომ 37 წლის მსახიობს იანერის დასაწყისში უნდა ემშობიარა, მაგრამ ყველაფერი ბევრად ადრე მოხდა.

"დედაც და ჩვილებიც თავს შესანიშნავად გრძობენ", - ვითარებაში გვარქვეს ჯულიას პრესმდივანი მერსი ენგელმანი.

ჯულიას მეუღლე და ბავშვების მამა ოპერატორი დენი მოდერია.

სკანორდი

Table with columns for various sports events and dates. Includes a photo of a group of people in a field. The table lists events like 'ფეხბურთი იგალიაში', 'პატიარ ბაიანი', 'სხ ბაიკი', etc., with corresponding dates and locations.

